

დასაქმებულების მოტივაცია, როგორც პროდუქტიულობის
განმაპირობებელი მთავარი ფაქტორი

ქეთი ზერიანიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების

მოთხოვნების შესაბამისად

მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით ხაჩიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელ, მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთი ბერიანიძე

აბსტრაქტი

ადამიანური რესურსი შეუცვლელი და მნიშვნელოვანი ნაწილია ნებისმიერი სფეროს ორგანიზაციისათვის. აქედან გამომდინარე, დასაქმებულთა მოტივაცია განაპირობებს ორგანიზაციის პროდუქტიულობას, რასაც მოჰყვება ორგანიზაციის წარმატება. დასაქმებულთა მოტივაცია ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი საზრუნავია. როგორც წესი, პირველ რიგში მათი მოტივირებაა საჭირო, შემდგომ კი მოტივაციის შენარჩუნება და განვითარებისაკენ სწრაფვა. სამუშაო ძალის მოტივირება ურთულესი ამოცანაა ნებისმიერი ორგანიზაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებისათვის, რადგან ადამიანთა დამოკიდებულებები, მათი მოთხოვნები, მოტივატორები განსხვავებული და მრავალფეროვანია.

ნაშრომში განხილულია რა არის მოტივაცია, ასევე ის თუ, როგორ შეიძლება დასაქმებულების მოტივაცია გარდაიქმნას პროდუქტიულობის მთავარ ფაქტორად. აღნიშნული განხილულია, როგორც დასაქმებულის, ასევე მენეჯმენტის მხრიდან. ნაშრომში წარმოდგენილია მოტივაციის შესახებ არსებული თეორიული მეთოდოლოგია, მათი საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკა. კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ ძირითადი ასპექტების გამოკვეთა, რაც ზრდის მოტივაციას დასაქმებულში; ასევე, დასაქმებულთა მისწრაფებების, მათი მიზნების, კარიერული წინსვლისა და იმის ჩვენება თუ რა ამოძრავებთ მათ - ფინანსური ინტერესი თუ მათი საქმისადმი ერთგულება. ასევე, კვლევის მიზანია მენეჯმენტის მხრიდან იმ ასპექტების დანახვის ხელშეწყობა, რასაც შემდგომ გარდაქმნიან ორგანიზაციის ძირითად სამუშაო ძალად.

ნაშრომში ნათლად ჩანს როგორი მნიშვნელოვანია დასაქმებულთათვის მოტივაცია და როგორ აისახება მისი არსებობა მათი შრომის პროდუქტიულობაზე. აღნიშნულს ადასტურებს ჩატარებული კვლევა. ნათლად იკვეთება აზრი, თუ როგორი მნიშვნელოვანია ორგანიზაციის წარმატებისათვის დასაქმებულებს ჰქონდეთ მოტივაცია, რათა მათი შრომა გახდეს პროდუქტიული - კარგი მენეჯმენტი მოტივირებულ თანამშრომლებს ნიშნავს.

Abstract

Human resources are an indispensable and important part of the organization for any field. Therefore, employee motivation determines the productivity of the organization, which is followed by the success of the organization. Employee motivation is the most important concern of the organization. First off all, they need to be motivated, and then they need to stay motivated and strive for development. Workforce motivation is the most difficult task for any organizations human resource management department because peoples attitudes, their requirements, motivators are different and varied.

This paper discusses what is the motivation, how employee motivation can be transformed into a key factor in productivity. This is discussed by both employee and the management sides. In this paper the existing theoretical methodology on motivation, their international and local practices are presented. The purpose of the study below is to explore the key aspects that increase motivation in the employee; The aim of the research is also to reveal the aspirations of the employees, their goals, career advancement, as well as what motivates their financial interest or commitment to their work. To facilitate the management to see these aspects, which will then be transformed into the main workforce of the organization.

The paper clearly shows how important motivation is for employees and how its existence affects their labor productivity. This is confirmed by the research. It makes clear how important it is for employees to be motivated to make their work productive for the success of the organization. Good management means motivated employees.

საკვანძო სიტყვები: დასაქმებული, მოტივაცია, მენეჯმენტი, პროდუქტიულობა.

Key words: Employee, Motivation, Management, Productivity.